საიდ. №75297/03

IR 1185555

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №43-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, ს. ებრალიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ტიანჯინ ლოვოლ ჰევი ინდასტრი კო., ლტდ“ (TIANJIN LOVOL HEAVY INDUSTRY CO., LTD) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №43-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 13 იანვრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №312/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „FOTON” (საიდ. №75297/03, IR 1185555) უარი ეთქვა საქართველში დაცვის მინიჭებაზე მე-7 კლასის

საქონლის განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ და აღნიშნული ნიშნისათვის დაცვის მინიჭება საქართველში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-7 კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 13 იანვრის №312/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სიტყვიერი ნიშანი ნიშანი „FOTON“ მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის „BEIQI FOTON MOTOR CO., LTD” სახელზე მე-12 კლასის საქონლისათვის რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული ნიშნებისა „FOTON" (რეგისტრაციის N860277, რეგისტრაციის და გავრცელების თარიღი: 29/07/2005) და „FOTON" + გამოსახულება (რეგისტრაციის N869523, რეგისტრაციის და გავრცელების თარიღი: 29/07/2005). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული ნიშნები რეგისტრირებულია მე-12 კლასის საქონლისათვის, განცხადებული ნიშნის საქონლის ჩამონათვლის ნაწილი და დაპირისპირებული ნიშნის საქონლის ჩამონათვლის ნაწილი იმდენად მსგავსია, რომ არსებობს ნიშნების შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ნაწილობრივ უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია ოტკრიტოე აკციონერნოე ობშჩესტვო „ტიანჯინ ლოვოლ ჰევი ინდასტრი კო., ლტდ“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიები წარმოადგნენენ აფილირებულ იურიდიულ პირებს და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანია თანახმაა, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „FOTON" (საიდ. №75297/03, IR 1185555), აპელანტი კომპანიის სახელზე მიენიჭოს დაცვა საქართველოში მე-7 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

სააპელაციო საჩივარზე თანდართული, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიის „ბეიქი ფოტონ მოტორ კო., ლტდ" მიერ გაცემული თანხმობის წერილის თანახმად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანია თანახმაა საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის „FOTON" (IR 1185555) დაცვასა და გამოყენებაზე საქართველოში აპელანტი კომპანიის „ტიანჯინ ლოვოლ ჰევი ინდასტრი კო.ლტდ" სახელზე მე-7 კლასის საქონლისათვის. ამავე თანხმობის წერილში ასევე, აღნიშნულია, რომ განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიები წარმოადგენენ აფილირებულ იურიდიულ პირებს. კოლეგიამ, მხედველობაში მიიღო სააპელაციო საჩივარზე თანდართული თანხმობის წერილი და მიიჩნია, რომ ვინაიდან, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიები წარმოადგენენ სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებულ

კომპანიებს, შესაბამისად სასაქონლო ნიშანს „FOTON" (საიდ. №75297/03, IR 1185555) უნდა მიენიჭოს დაცვა საქართველოში მე-7 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „FOTON" (საიდ. №75297/03, IR 1185555) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ტიანჯინ ლოვოლ ჰევი ინდასტრი კო., ლტდ" (TIANJIN LOVOL HEAVY INDUSTRY CO., LTD) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 13 იანვრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ" №312/03 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „FOTON" (საიდ. №75297/03, IR 1185555) უარი ეთქვა საქართველში დაცვის მინიჭებაზე მე-7 კლასის საქონლის ნაწილის მიმართ.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „FOTON" (საიდ. №75297/03, IR 1185555) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: ი. გიქორაშვილი

ს. ებრალიძე